

ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების ზოგიერთი ასპექტები საქართველოში

*გვეტაძე თეიმურაზი – დოქტორანტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის დეპარტამენტი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

*კურდღელია ნათია – პროფესიული სწავლების პედაგოგი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო*

Some Aspects of Tax Stimulate in Innovative and Investment Activities in Georgia

*Gvetadze Teimurazi – PhD Student, Department of Finance and Bank Technologies, Georgian Technical
University, Tbilisi, Georgia*

*Kurdghelia Natia – Teacher of Vocational Education, Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, Tbilisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: The launch of innovative and investment activities in Georgia, where the most common financial instrument - with regard to tax incentives plays a special role and role of a motivator, which is very attractive for all investors and innovators

Research methodology: Statistical, as well as comparative analysis and scientific and other necessary methods were applied in the study

Results and implications: The Government of Georgia should create an appropriate business environment for investors and innovators in particular, it may be possible through the benefits in the tax code which will become very attractive for them. Introduction of certain tax benefits will lead to launch of more innovative activities and investments, which represents one of the main sources of economic development of our country.

Conclusion: As a conclusion we may assume that our government as well as the governments of other developing countries shall develop effective strategies for attracting investments and initiating innovative activities, which implies the use of financial tools in a rational manner and to the benefit of all three parties.

Keywords: investment, innovative activities, financial instruments, investment policy, investment activity, stimulation.

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: საქართველოში ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის დაწყება, რომელშიც განსაკუთრებული და მოტივატორის როლი უჭირავს ყველაზე გავრცელებულ ფინანსურ ინსტრუმენტს - გადასახადების კუთხით არსებულ საგადასახადო შეღავათებს, რაც ყველა ინვესტორისათვის და ინოვატორებისთვის ძალზე მიმზიდველია. ინვესტორის მიერ ინვესტიციის განხორციელებისა და ინოვაციური საქმიანობის დამწყების ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, რომლის მიღწევის ერთ-ერთი წყაროა სწორედ საგადასახადო შეღავათები და გასაღების ბაზრის გაფართოება წარმოების შედარებით იაფი კომპონენტების გამოყენების ხარჯზე. ეროვნული მთავრობის მიზანს კი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისას გამოყენებული იქნა როგორც სტატისტიკური, ისე შედარებითი ანალიზის განმსაზღვრელი, მეცნიერული და სხვა საჭირო მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: საქართველოს მთავრობამ ინვესტორებს და ინოვატორებს უნდა შეუქმნას შესაბამისი ბიზნეს-გარემო, კერძოდ, ეს შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო კოდექსში გარკვეული შეღავათების არსებობით და გავრცელებით, რომელიც ძალზე მიმზიდველი გახდება მათთვის. გარკვეული საგადასახადო შეღავათები გამოიწვევს უფრო მეტი ინოვაციური საქმიანობის დაწყებას და ინვესტიციების შემოსვლას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

დასკვნა: დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ, რომ აუცილებელია ისევე როგორც ყველა განვითარებად ქვეყნის მთავრობამ და ასევე ჩვენმაც შეიმუშაონ ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციურის საქმიანობის დაწყების ეფექტური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების რაციონალურ და სამივე მხარისთვის მისაღები საგადასახადო შეღავათების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ინოვაციური საქმიანობა, ფინანსური ინსტრუმენტები, საინვესტიციო პოლიტიკა, საინვესტიციო აქტივობა, სტიმულირება.

საქართველოსთვის, ისევე როგორც, ნებისმიერი სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია საწარმოო ინვესტიციების არასაწარმოო ინვესტიციების ხარჯზე შემცირება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა განვითარებადი ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით, ისეთ პატარა ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის, როგორც საქართველოა. საწარმოო სექტორში ნაკლები ინვესტიცია ნიშნავს ქვეყნის სულ უფრო მეტ დამოკიდებულებას უცხოურ ინვესტიციებზე; თუ კაპიტალის დინება შემცირდა შიდა თუ გარე ფაქტორების გამო, ინვესტიციებზე დამოკიდებული ქვეყნები რთულ კრიზისულ მდგომარეობაში ვარდებიან; პრობლემა ადგილობრივი ფინანსური ბაზრის ჩამოშლამდე, ინფლაციის დონის გაზრდამდე და მონეტარული პოლიტიკის შესუსტებამდეც კი შეიძლება მივიდეს.

ინვესტიციები, თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. საინვესტიციო კრედიტები ერთმანეთისაგან განსხვავდება ინვესტორის რისკის დონით, რადგანაც აუცილებელია პროექტის მომგებიანობის მიუხედავად, კრედიტებისა და პროცენტების დადგენილ ვადებში უკან დაბრუნება. ინვესტიციები უკან ბრუნდება და თან მოაქვთ მოგება მხოლოდ მომგებიანი პროდუქტებიდან. თუ პროექტი წამგებიანია, მაშინ შესაძლებელია ინვესტიციების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა.

საინვესტიციო საქმიანობა-ეს არის ინვესტიციების ჩადება და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება მოგების მიღების და /ან უფრო სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.

ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს ახალი იდეის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შეიქმნას ახალი პროდუქტი, მომსახურეობა ან სისტემა. იგი ხშირად ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება. განასხვავებენ ინოვაციის რამოდენიმე სახეს:

- „ინოვაციური პროდუქტი“-მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას;
- „ინოვაციური პროცესი“-მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წარმოებისა და მიწოდების მეთოდების დანერგვას;
- „ინოვაციური მიწოდების ქსელი“-მოიცავს საწარმოო რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის და მომხმარებლისთვის მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ პროცესს;
- „ინოვაციური მარკეტინგი“-მოიცავს მარკეტინგის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდების (პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა, გაყიდვების კომპანია, ფასდადება და სხვ.) დანერგვას.

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. იგი კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, ჩამოიშოროს კონკურენტები, შექმნას ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. მისი არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. იგი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვისაც, რადგან მეტი ინოვაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყანაში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 9 წელია, რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება. იგი შედგება 7 კომპონენტისაგან:

- ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო);
- ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება);
- ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ზოგადი ინფრასტრუქტურა , ეკოლოგიური მდგრადობა);
- ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
- ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისათვის საჭირო კავშირის არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა);
- ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება);
- შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

ჩვენს ქვეყანას ამ კუთხით 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. მის ძლიერ მხარეებს შემდეგი კომპონენტები წარმოადგენს: ბიზნეს გარემო და ბაზრის განვითარების დონე, ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება, კვლევა და განვითარება, ინვესტიციები და დასაქმებულთა ცოდნის დონე.

რაც შეეხება ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირებას, ქვეყნის მთავრობამ მაქსიმალური მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს. შესაძლოა შეიქმნას ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური სამსახური, რომელიც იმუშავებს აღნიშნული საქმიანობის ყველა იმ კრიტერიუმების შემუშავებაში, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში ესა თუ ის საქმიანობა გახდება ინოვაციური. ეს აუცილებელია, რადგანაც ყველა განსხვავებული საქმე არ ჩაითვალოს ინოვაციად და არ მოხდეს ფიქტიურად შეღავათების გამოყენება.


შესაძლოა მეტი წახალისების მიზნით ქვეყნის მთავრობამ განახორციელოს შემდეგი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში.

- უკვე განსაზღვრულ ინოვაციურ საქმიანობას, რომელიც აღიარებულია შესაბამისი ორგანოს მიერ, დაექვემდებაროს დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ-ს) გათავისუფლებას, რაც საშუალებას მისცემს ინოვატორებს შექმნან მნიშვნელოვანი დანაზოგი-ბრუნვის 18%.
- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება.
- მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება, შესაძლოა მოხდეს ამ უფლებით რამდენიმე წლით სარგებლობა, მაგრამ არსებული კოდექსის თანახმად, რომელიც 2017 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომელიც ორ ალტერნატივას გულისხმობს:
 - 1) რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას;
 - 2) მოგების გადასახადით დაბეგვრას, მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში.

ქვეყნის მთავრობამ, შესაძლოა ასევე განახორციელოს უფასო ტრეინინგი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გადასცეს უსასყიდლოდ ტექნიკა, რომელიც მათ მუშაობის პროცესში დაეხმარებათ და გარკვეულ თანხასაც დააზოგინებთ, რომელსაც ახალი ინოვაციური პროდუქტების შექმნაში დაეხმარებათ ან/და მოახდენენ არსებულში რეინვესტირებას, რადგანაც, საბოლოო ჯამში მეტი ინოვაციური საქმიანობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობის საფუძველია. მიუხედავად იმისა რომ, ჩვენი ქვეყნის მთავრობა გვერდში უდგას ყველა იმ წამოწყებას, რაც ბიზნესის განვითარებას გულისხმობს, უმჯობესი იქნება, თუ აქცენტს გადაიტანს და გაზრდის დაფინანსების მოცულობას სწორედ ინოვაციურ საქმიანობებზე და ამით კიდევ უფრო მეტი სტიმული მიეცემათ დამწყებ ინოვატორებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი 2016 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კერძოდ, კი ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტებში.

GII ინდექსის შემადგენელი კომპონენტების დინამიკა საქართველოსთვის



განვიხილოთ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკური მაჩვენებლები:


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოში 403.3 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 3.7% -ით მეტია 2016 წლის პირველი კვარტალის მონაცემებზე.

2017 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ აზერბაიჯანი (97 მლნ დოლარი), თურქეთი (82 მლნ დოლარი) და გაერთიანებული სამეფო (80 მლნ დოლარი), ხოლო ეკონომიკის სექტორების მიხედვით, ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (141 მლნ), საფინანსო სექტორში (80 მლნ) და უძრავ ქონებაში (80 მლნ დოლარი).

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია (საქონლისა და მომსახურების წარმოებაში კაპიტალის ჩადება) შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო (უცხოური) ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის. საქართველოში დანაზოგების დონე კი მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანა-

ზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას. ამასთან უცხოური ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, მლნ დოლარი:



ხშირ შემთხვევაში უცხოურ ინვესტიციას ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცნობადობა მოჰყვება.

დღეს ბევრი ქვეყანა ეჯიბრება ერთმანეთს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. შეჯიბრი ინვესტირებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შეთავაზებაში გამოიხატება. ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისგან თავისუფლება და სხვა.

ინვესტიციების მოსაზიდად შემსუბუქებული საგადასახადო სისტემა არის ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტრუმენტი. საქართველოს მთავრობა, ამჟამინდელი თუ ნებისმიერი მისი წინამორბედი, ხშირ შემთხვევაში იყენებს და იყენებდა საგადასახადო შეღავათს ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთი, თუმცა არა ერთადერთ მასტიმულირებელ ინსტრუმენტს. ქვეყნების მიერ საგადასახადო შეღავათის შეთავაზებას შეიძლება გააჩნდეს „თოვლის გუნდის ეფექტი“-ნეგატიური თვალსაზრისით: თუ ქვეყანა სთავაზობს ერთ ინვესტორს საგადასახადო შეღავათს და ეს ცნობილი გახდება სხვა ინვესტორისთვის, ისიც მოითხოვს იგივე ან უკეთეს შეღავათს და ეს ჯაჭვური რეაქციით გადაედ-

ბათ. სახელმწიფოს მხრიდან, რომელიმე მათგანზე უარის თქმა კი შეიძლება გახდეს მიზეზი იმისა რომ, მათ არ განახორციელონ ინვესტიცია პერსპექტიულ პროექტში ადგილობრივ ბაზარზე.

უფრო კონკრეტულად და გასაგებად, საგადასახადო კოდექსიდან და საქართველოში არსებული ვითარებიდან მოვიყვანოთ კონკრეტული მუხლები და მაგალითები, რომელზე დაყრდნობითაც მოხდა ქვეყანაში ინვესტორების დაინტერესება და მათ მიერ ფულადი სახსრების ინვესტირება მათთვის მისაღებ ბიზნეს გარემოში.

2007 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა, რადგანაც მათ აქვთ შემდეგი უპირატესობები:

- საგადასახადო შეღავათები;
- გამარტივებული პროცედურები;
- გადახდების განხორციელება შეიძლება ნებისმიერ ვალუტაში;
- გათავისუფლებულია ლიცენზიების/ნებართვების უმრავლესობის მიღების ვალდებულებისგან;
- ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების დამოუკიდებლობა.

სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა მიზნად ისახავს ინვესტიციების გაზრდას ბიზნესისთვის მაქსიმალურად მისაღები ეკონომიკური გარემოს შექმნის გზით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, და თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ამავე წელს ქვეყნის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, რომლის მიზანია ეკონომიკური საქმიანობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლის ხელშეწყობა. ინდუსტრიული ზონა შეიძლება იყოს საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფართი არ აღემატება 10 ჰექტარს, რომელიც გარკვეული ვადით არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის და მასზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქცია. კანონის მიხედვით თიზ-ის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის დადგენილება; ზონაში იქნება შესასვლელი და გამოსასვლელი, ანუ მოეწყობა საბაჟო გამშვები პუნქტები. აქვე აღნიშნულია, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები, კერძოდ,


- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ გადახდილი პროცენტი და დივიდენდი არ იბეგრება და არ არის შეტანილი მიმღების დასაბეგრ საშემოსავლო ბაზაში;

- ვაჭრობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს შორის გათავისუფლებულია დღგ-ს გადახდისგან;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებს არ აქვთ თანამშრომლების პირადი საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების ვალდებულება;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოები არ არიან ვალდებულნი შეაფასონ და გადაიხადონ დაბრუნებადი გადასახადი დღგ-ზე (RCVAT);
- ექსპორტი გათავისუფლებულია დღგ-გან, საგადასახადო შეღავათზე უფლებით;
- საკუთრება, მათ შორის მიწა, რომელიც მდებარეობს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან;

შედეგად, კომპანიები მნიშვნელოვან დანაზოგს აკეთებენ საგადასახადო შეღავათების გამო:

- მოგების გადასახადზე-დაბეგვრადი მოგების-15%;
- ქონების გადასახადზე-საკუთრების საშუალო საბალანსო ღირებულების-1%;
- იმპორტის გადასახადზე -იმპორტის ღირებულების 18%-მდე;
- დამატებული ღირებულების გადასახადზე (დღგ)-18%;
- დივიდენდი გადასახადზე-5%.

საქართველოში, თავისუფალი ინდუსტრიული მშენებლობა დაიწყო 2009 წლიდან შემდეგ ქალაქებში: ქუთაისი, ფოთი და თბილისი. ქვემოთ, გრაფიკულად არის წარმოდგენილი თუ რამდენი მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა საწყის ეტაპზე, და რა ოდენობის სამუშაო ადგილები შეიქმნა.



ქუთაისში როდესაც ბოლო აღწერით მოსახლეობა შეადგენს 186 000 ათასს კაცს, 1000 კაცის დასაქმება უკვე დიდ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ფოთისთვის კი ვალდებულება შეადგენდა 30 კაცის დასაქმებას, ფაქტობრივად კი 580 ადამიანს მიეცა სამუშაო, რაც გაცილებით აღემატება ვალდებულებით ნაკისრ ოდენობას.

მაგრამ, 2012 წლის 10 აპრილს, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც არც თუ ისე სასიამოვნო იყო ინვესტორებისათვის. თუ მთავრობამ თავიდან მათ დაპირდათ ყველანაირი საგადასახადო ბერკეტებისაგან გათავისუფლება, ეს ცვლილება უკვე წინააღმდეგობაში მოდიოდა არსებულთან. რადგანაც, ვაჭრობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს და ქართულ კომპანიას შორის იბეგრება ანგარიშ-ფაქტურის ფასის 4%-ით, შესაბამისად მოხდეს დეკლარაციის წარდგენა და დარიცხული გადასახადის გადახდა ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

თუ 2007 წლიდან თიზ-ის საწარმო ვალდებული იყო მხოლოდ განაცემის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და დეკლარირების, 2012 წლიდან დაემატა დამატებით ორი დეკლარაციის წარდგენა, შესყიდვების და გაყიდვების 4% ის შესახებ, რაც ჩემი აზრით იმ პირობის დარღვევაა რასაც თიზ-ი ითვალისწინებს.

იმის მიუხედავად, ქვეყანას შეენარჩუნებინა ყველა ის პირობა და დამატებით სხვა შეღავათები შეეთავაზებინა მათთვის, მან პირიქით, სხვა გადასახადები დააწესა და დეკლარირების პროცესი გაურთულა. შესაძლოა, მომავალში მთავრობამ თიზ-ს სხვა საგადასახადო ბერკეტები დაუწესოს, რაც კი ძალიან ცუდ შედეგს მოგვიტანს. არცერთ ინვესტორს არ მოუწდება ინვესტირება განახორციელოს იმ ქვეყანაში, სადაც ქვეყანა ლიბერალური არ არის მათ მიმართ.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომ აუცილებელია, ისევე როგორც ყველა განვითარებად ქვეყნის მთავრობამ და ასევე ჩვენმაც შეიმუშაონ ინვესტიციების მოზიდვისა და ინოვაციურის საქმიანობის დაწყების ეფექტური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტების რაციონალურ და სამივე მხარისთვის მისაღები საგადასახადო შეღავათების გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. - თბილისი, 2009. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgibin/-library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-----0-1|--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.2&d=HASH30e9b9383dc3dae95c178d&gc=1>.
2. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD), EBRD საქარ-თველოში. - თბილისი, 2016. <http://www.ebrd.com/georgia.html>.

3. ვანიშვილი მ., ფარულავა დ., ინვესტიციების მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტების ევოლუცია და პრობლემები// ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ, IEC-2015. - თბილისი, 2015.
4. მსოფლიო ბანკი საქართველო, საქართველოს პროფილი. - თბილისი, 2016.
<http://www.worldbank.org/en/country/georgia>.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge
6. ჟურნალი-www.commersant.ge
7. ჟურნალი-www.forbes.ge